



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბრძანება № MOH 9 23 00000211

ქ. თბილისი

13/06/2023 წელი



**„ტუბერკულოზის მართვა“ კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა
(გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების
(პროტოკოლები) დამტკიცების თაობაზე**

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ2“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები), კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) და დაავადებათა მართვის კლინიკური გზამკლევების შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 17 მაისის N32/ნ ბრძანებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:

- ა) „ტუბერკულოზის მართვა“ კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) - დანართი №1;
- ბ) „ტუბერკულოზის დიაგნოსტიკა“ კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - დანართი №2;
- გ) „სენსიტიური ტუბერკულოზის მკურნალობა“ კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - დანართი №3;
- დ) „სენსიტიური ტუბერკულოზის მკურნალობის მონიტორინგი“ კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - დანართი №4;
- ე) „რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობა“ კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - დანართი №5;
- ვ) „რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობის მონიტორინგი“ კლინიკური

მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - დანართი №6;
ზ) „ფილტვის ტუბერკულოზის ქირურგიული მკურნალობა“ კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - დანართი №7;
თ) „ტუბერკულოზის და აივ კო-ინფექციის მართვა“ კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - დანართი №8.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ტუბერკულოზის მართვა“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 3 ივნისის № 01-189/ო ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი
ზურაბ აზარაშვილი

ხელმოწერილია/
შტამპდანიშნულია
ელექტრონულად

